Σημαντικά Σημεία της Διαδικασίας Ασύλου

მესამე ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს აქვს პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის უფლება. თავშესაფრის პროცედურა უფასოა და ყველასთვის ხელმისაწვდომი.

1. თავშესაფრის ან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განაცხადი

თავშესაფრის ან საერთაშორისო დაცვის მაძიებლები

თავშესაფრის ან საერთაშორისო დაცვის მაძიებლები არიან მესამე ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებიც საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით პირველადი ან განმეორებითი განცხადებით მიმართავენ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს. საბერძნეთის სახელმწიფო უწყებები აღიარებენ ორი ტიპის საერთაშორისო დაცვის სტატუსს: ლტოლვილის და დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის.

ლტოლვილის სტატუსი ენიჭება ყველა იმ პირს, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი წარმოშობის ქვეყანა, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, მისი მუდმივი ბინადრობის ქვეყანა, და არ შეუძლია ან არ სურს დაბრუნდეს იქ, რადგან არსებობს საშიშროება რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ნიშნით, პოლიტიკური შეხედულებების ან გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების გამო გახდეს დევნის მსხვერპლი.

დროებითი დაცვის სტატუსი ენიჭება ყველა იმ პირს, ვინც არ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად, მაგრამ ნათლად ჩანს მიზეზები, რის გამოც ამ პიროვნებას წარმოშობის ან მუდმივი ბინადრობის ქვეყანაში ემუქრება სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე, როგორიც არის, მაგალითად, სიკვდილით დასჯის განაჩენი ან მისი აღსრულება, წამება, არაადამიანური, შეურაწმყოფელი მოპყრობა, ან მის სიცოცხლეს, ფიზიკურ ხელშეუხებლობას ემუქრება საფრთხე საერთაშორისო ან ქვეყნის შიგნით მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის გამო.

სად უნდა შევიტანოთ განაცხადი

პირველადი თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადი შეგიძლიათ წარადგინოთ ევროსის და კუნძულ ლესბოსის, ხიოსის, სამოსის, კოსის, ლეროსის მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრებში, თუ თქვენ საბერძნეთში შემოხვედით ზემოაღნიშნულ ტერიტორიებზე და თუ არ მოითხოვეთ თავშესაფარი ამ პუნქტებში, შეგიძლიათ მიმართოთ მალაკასას ან დიავატას მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრებს. კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ არასრულწლოვანთა განცხადების მისაღებად კომპეტენტური ორგანოებია რეგიონალური თავშესაფრის სამსახურები და თავშესაფრის დამოუკიდებელი განყოფილებები.

განაცხადი უნდა წარადგინოთ პირადად. თუ რეგისტრაცია არ გაქვთ გავლილი, შეგიძლიათ რეგისტრაციისათვის დაჯავშნოთ ვიზიტი მიგრაციისა და თავშესაფრის

სამინისტროს ელექტრონული აპლიკაციის მეშვეობით მალაკასას ან დიავატას მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში.

თუ ქვეყანაში არაკანონიერი გზით შემოხვედით ან ცხოვრობთ საბერძნეთში არალეგალურად, თქვენ გადაგიყვანენ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში. სახელმწიფო უწყებების მიერ გაცემული მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში, გაივლით მიღებისა და იდენტიფიკაციის პროცედურებს. ვალდებული ხართ დარჩეთ მიმღები ცენტრის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელში, სანამ მიმდინარეობს თქვენი განცხადების განხილვის პროცესი, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება ოცდახუთ (25) დღეს.

ზოგადად, თქვენი განცხადების განხილვა შეიძლება გაგრძელდეს ოცი (20) დღიდან ექვს (6) თვემდე.

განცხადების რეგისტრაცია

თქვენი განცხადების სრული რეგისტრაციის პროცედურა მოიცავს: თქვენი პირადი მონაცემების, წარმოშობის ქვეყნის, მამის, დედის, მეუღლის და შვილების სახელების, ელექტრონული ფოსტის (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის დაფიქსირებას; ბიომეტრიულ იდენტიფიკაციას; ყველა იმ მიზეზის აღნიშვნას, რის გამოც ითხოვთ საერთაშორისო დაცვას; საცხოვრებელი სახლის ან დროებითი საცხოვრებელი ადგილის მისამართის მითითებას; სასურველი ენის არჩევას, რომელზეც გსურთ წარიმართოს თქვენი საქმის განხილვის პროცესი, ასევე შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენელი, თუ ამის სურვილი გექნებათ.

შესაძლოა ჩაგიტარდეთ სხეულის ზედაპირული შემოწმება ან მოხდეს თქვენი პირადი ნივთების დათვალიერება. ასევე შესაძლებელია ჩაგიტარდეთ სამედიცინო კვლევები.

განცხადების რეგისტრაციის დროს უფლებამოსილ თანამშრომელთან კომუნიკაციაში დაგეხმარებათ თარჯიმანი. თარჯიმნის მეშვეობით თქვენთვის გასაგებ ენაზე მიიღებთ ინფორმაციას პროცედურულ მხარეზე, თქვენს უფლება-მოვალეობებზე როგორც საერთაშორისო დაცვის მაძიებელი პირი, ასევე კანონით გათვალისწინებულ პროცედურულ ვადებზე.

რეგისტრაციის დღეს გადაგიღებენ სურათს, აგიღებენ თითის ანაბეჭდებს თქვენც და თქვენი ოჯახის თოთხმეტ (14) წელს გადაცილებულ წევრებს. თითის ანაბეჭდებს შეიყვანენ ევროპის ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში EURODAC. იმ შემთხვევაში თუ ევროპის სხვა ქვეყანაშიც გაქვთ მოთხოვნილი თავშესაფარი, სადაც მოქმედებს „დუბლინის III“ რეგულაციები, შესაძლოა თქვენი განცხადების განსახილველად გადაგიყვანონ იმ ქვეყანაში.

„დუბლინის III“ რეგულაციები განსაზღვრავს ევროპის რომელი ქვეყანაა პასუხისმგებელი განიხილოს თქვენი განცხადება. კრიტერიუმები, რომელიც გამოიყენება, არის შემდეგი თანმიმდევრობით: ა) ოჯახური კავშირები ბ) ბოლო პერიოდის ვიზა (visa) ან ბინადრობის ნებართვა ევროპის ქვეყანაში გ) ევროკავშირის

ტერიტორიაზე ლეგალური ან არალეგალური შესვლა.

სამგზავრო დოკუმენტები (მაგ. პასპორტი) უნდა გადასცეთ თავშესაფრის სამსახურს. ასევე უნდა წარმოადგინოთ თქვენს მფლობელობაში არსებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, რომელსაც კავშირი აქვს განცხადების განხილვასთან ან ადასტურებს თქვენს და თქვენი ოჯახის წევრების პირად მონაცემებს.

თქვენს მიერ გაცემული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება თავშესაფრის მოთხოვნის განცხადებას კონფიდენციალურია. თანამშრომლები ვალდებულნი არიან განცხადების განხილვის პროცესში დაიცვან მონაცემთა უსაფრთხოების წესები და არ დაუშვან ინფორმაციის გამჟღავნება. ეს ინფორმაცია არ გადაეცემა თქვენი წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებს.

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს ან სხვა ორგანიზაციას, რომელიც გაგიწევთ იურიდიულ, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

თუ ხართ წამების, სექსუალური ან სხვა ტიპის სერიოზული ძალადობრივი ქმედების მსხვერპლი, დახმარების მისაღებად უნდა აცნობოთ შესაბამის უწყებებს.

თავშესაფრის პროცედურის განმავლობაში გაქვთ უფლება მხარდაჭერისთვის მიმართოთ ადვოკატს ან სხვა თქვენთვის სასურველ მრჩეველს (თავშესაფრის სამსახურის შუამდგომლობის გარეშე). ასეთ შემთხვევაში, ადვოკატს ან მრჩეველს უნდა ჰქონდეს მინდობილობა, თქვენს მიერ ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებით, რომ შეძლოს დაესწროს თქვენს გასაუბრებას ან უფლება ჰქონდეს წარმოგადგინოთ თავშესაფრის სამსახურში. ადვოკატის ან მრჩევლის მომსახურების თანხა და სხვა ხარჯები გეკისრებათ თქვენ. თქვენს ადმინისტრაციულ საქმეში არსებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია თქვენთვისაც და თქვენი ადვოკატისთვისაც შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

თავშესაფრის სამსახური დაგინიშნავთ გასაუბრების თარიღს. გაიცემა თავშესაფრის მაძიებლის მოწმობა, რომლის ხანგრძლივობა განისაზღვრება ერთ (1) წლამდე ვადით. ეს მოწმობა ყოველთვის თან უნდა იქონიოთ. მოწმობას ბარათის ფორმა აქვს, რომლის გაცემის დროსაც მოგენიჭებათ გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო (АФМ) და დროებითი ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის ნომერი (ΠΑΑΥΠΑ).

თუ მიეკუთვნებით მოწყვლად ჯგუფს, გასაუბრება დაინიშნება განცხადების რეგისტრაციიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში. თავშესაფრის სამსახური მოგცემთ საკმარის დროს (3 დღემდე), იმისათვის რომ შესაბამისად მოემზადოთ, ამ პროცესში დახმარებისათვის კონსულტაცია გაიაროთ ადვოკატთან ან სხვა მრჩეველთან. მოწყვლად ჯგუფს მიეკუთვნებით განსაკუთრებით მაშინ, თუ ხართ არასრულწლოვანი, გემის ჩაძირვის შედეგად დაღუპული პირის ახლო ნათესავი (მშობელი, და-ძმა, შვილი, მეუღლე), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი,

ხანდაზმული, ფეხმძიმე, მარტოხელა მშობელი არასრულწლოვანი შვილებით, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი, მძიმე ავადმყოფი, გონებრივი ან ფსიქიური ინვალიდობის მქონე, წამების, გაუპატიურების ან სხვა მძიმე ფორმის ფსიქოლოგიური, ფიზიკური თუ სექსუალური ძალადობრივი ქმედების, სასქესო ორგანოების ამპუტაციის მსხვერპლი.

შეგიძლიათ მოითხოვოთ გასაუბრების წამყვანი თანამშრომლისა და თარჯიმნის თქვენთვის სასურველი სქესი. ასეთ მოთხოვნას გაითვალისწინებს თავშესაფრის სამსახური და დააკმაყოფილებს თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განმეორებითი განცხადება

განმეორებითი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადება ნიშნავს, რომ თავიდან შეგაქვთ განაცხადი პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით, მას შემდეგ რაც პოლიციამ ან თავშესაფრის სამსახურმა ან სააპელაციო ორგანომ გამოიტანა საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება ან თქვენივე ნებით უკან გამოითხოვეთ საერთაშორისო დაცვის განცხადება.

ახალი გარემოებების წარმოქმნის შესახებ განმეორებითი განაცხადის მიმღები კომპეტენტური ორგანო არის ის თავშესაფრის რეგიონალური სამსახური ან თავშესაფრის დამოუკიდებელი განყოფილება, რომელიც თქვენს საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარეობს. განმეორებითი განცხადების რეგისტრაციისათვის ვიზიტი შეგიძლიათ დაჯავშნოთ ელექტრონული აპლიკაციის მეშვეობით მიგრაციისა და თავშესაფრის სამინისტროს გვერდზე.

განმეორებითი განცხადების შეტანის შემდეგ **არ** გაიცემა საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა.

თავშესაფრის სამსახური შეისწავლის და გადაწყვეტს რამდენად ახალი და არსებითია თქვენს მიერ წარმოდგენილი გარემოებები საეთაშორისო დაცვის განცხადების დასაშვებად. მხოლოდ იმ შემთხვევაში გადმოგეცემათ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა და გაგრძელდება თქვენი საქმის განხილვა თავშესაფრის სამსახურის მიერ, თუ დასაშვებად ჩაითვალა თქვენი განმეორებითი განცხადება.

თუ თავშესაფრის სამსახურმა არ დააკმაყოფილა თქვენი განმეორებითი განცხადება, თქვენთვის გადმოცემულ გადაწყვეტილებაში აღნიშნული იქნება, რომ ხუთი (5) დღის ვადაში შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება სააპელაციო ორგანოში.

მეორე განმეორებითი განცხადების განხილვის ეტაპზე თქვენ არ ხართ ავტომატურად დაცული დეპორტისაგან/დაბრუნებისაგან.

მეორე და ყველა მომდევნო განმეორებით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოთ სამასი (300) ევროს ოდენობის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. მოსაკრებელი

გაიცემა შემდეგი პროცედურით ელექტრონული მოსაკრებელი(e-Παράβολο). ოჯახის შემთხვევაში საჭიროა სათითაოდ ყველა ოჯახის წევრისათვის თანაბარი ოდენობის მოსაკრებლის გადახდა.

2. გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მაძიებელთან

გასაუბრებას ჩაგიტარებთ თავშესაფრის სამსახურის უფლებამოსილი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომელი იმ დღეს და საათზე, რომელიც თავშესაფრის სამსახურმა დაგინიშნათ.

მის მიერ დასმულ შეკითხვებზე უნდა უპასუხოთ სრული გულწრფელობით, უნდა თქვათ მხოლოდ სიმართლე, სრულყოფილად წარმოაჩინოთ მომხდარი ფაქტები და არ დამალოთ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებული რაიმე ინფორმაცია. თუ თქვენს მიერ მოყვანილი ფაქტები და არგუმენტები არ შეესაბამება სინამდვილეს, ეს უარყოფითად იმოქმედებს თქვენი განცხადების შეფასების დროს.

გასაუბრების განმავლობაში, თავშესაფრის სამსახურის თანამშრომელი აუცილებლად დაგისვამთ კითხვებს განცხადებაში თქვენს მიერ მითითებულ ინფორმაციაზე: პირად მონაცემებზე, როგორ ჩამოხვედით საბერძნეთში, რა მიზეზების გამო დატოვეთ თქვენი წარმოშობის ქვეყანა ან ქვეყანა, სადაც მუდმივად ცხოვრობდით (თუ ხართ მოქალაქეობის არმქონე პირი), ასევე რა მიზეზების გამო არ შეგიძლიათ ან არ გსურთ დაბრუნდეთ იქ. გასაუბრების დროს შეგიძლიათ დამატებით ისაუბროთ ნებისმიერ სხვა თემაზე, თუ ამას საჭიროდ ჩათვლით.

ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი ცალკე გაივლის გასაუბრებას. არასრულწლოვანი წევრების შემთხვევაში, პირადი გასაუბრების დროს გათვალისწინებული იქნება მათი ასაკობრივი სიმწიფე და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც შესაძლოა ტრავმული გამოცდილების შედეგი იყოს.
გასაუბრებას დაესწრება თარჯიმანიც. თარგმანი იქნება თქვენთვის გასაგებ ენაზე. თარჯიმნის მომსახურეობა უფასოა.

გასაუბრებაზე შეგიძლიათ გამოცხადდეთ ადვოკატის ან სხვა მრჩეველის (ექიმის, ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის) თანხლებით, მაგრამ გასაუბრებაზე დასასწრებად ან თავშესაფრის სამსახურში თქვენს წარმოსადგენად, აუცილებელია თქვენს ნდობით აღჭურვილ პირს ჰქონდეს ასევე თქვენს მიერ დამოწმებული მინდობილობა. ადვოკატის ან მრჩევლის მომსახურების თანხა და სხვა ხარჯები გეკისრებათ თქვენ.

კონფიდენციალურია ყველაფერი რასაც იტყვით გასაუბრებაზე და არც ერთ შემთხვევაში არ გადაეცემა თქვენი წარმოშობის ქვეყნის სახელმწიფო უწყებებს, მაგრამ შესაძლოა გადაეცეს საბერძნეთის სხვა სახელმწიფო უწყებებს.

საუბარი იწერება. თანამშრომელი ასევე შეადგენს წერილობით ტექსტს (ოქმს)

რომელიც მოიცავს გასაუბრების დროს დასმულ ყველა კითხვასა და პასუხს. თუ არ შედგა გასაუბრების აუდიოჩანაწერი, თარჯიმნის დახმარებით უნდა შეამოწმოთ ოქმის მასალა, იმისათვის რომ დაადასტუროთ მათი შინაარსის სისწორე ან მოითხოვოთ შესწორებების შეტანა და ამის შემდეგ მოაწეროთ ხელი. შეგიძლიათ შესაბამისი განცხადების საფუძველზე მოითხოვოთ გასაუბრების აუდიოჩანაწერისა და ოქმის ასლი. გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს ასევე დისტანციურად, ტელეკონფერენციის ფორმით.

3. გადაწყვეტილების მიღება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადებაზე

გასაუბრების შემდეგ თავშესაფრის სამსახური გამოიტანს გადაწყვეტილებას მოგენიჭოთ თუ არა ლტოლვილის ან დროებითი დაცვის სტატუსი, ან უარყოს თქვენი განცხადება. უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც შეისწავლის თქვენს საქმეს, მთლიანობაში შეაფასებს თქვენს მიერ პირად გასაუბრებაზე ნათქვამს, წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თქვენს წარმოშობის ქვეყანაზე არსებულ შესაბამის ინფორმაციას და ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც თქვენს ადმინისტრაციულ საქმეშია და ამის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

განცხადების განხილვის პროცესის დასრულებამდე შეგიძლიათ უკან გამოითხოვოთ თქვენი განცხადება.
თუ თქვენი საერთაშორისო დაცვის განცხადება არ დაკმაყოფილდა მიღებული იქნება თქვენი დაბრუნების გადაწყვეტილება.
გამოგზავნილ გადაწყვეტილებას, თან ახლავს კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც თქვენთვის გასაგებ ენაზე, მარტივად და ნათლად აგიხსნით გადაწყვეტილების შინაარს და მის შედეგებს.
გადაწყვეტილება შეგიძლიათ ჩაიბაროთ პირადად ან მიიღოთ თქვენ (ან თქვენმა ადვოკატმა) დაზღვეული წერილის სახით, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (email).
თუ თქვენი განცხადება არ დაკმაყოფილდა ან მოგენიჭათ დროებითი დაცვის სტატუსი და მიგაჩნიათ, რომ გეკუთვნით ლტოლვილის სტატუსი, უფლება გაქვთ გაასაჩივროთ იგი სააპელაციო ორგანოში (მეორე საფეხური). თქვენთვის გადმოცემულ გადაწყვეტილებაში მითითებული ვადების დაცვით საჩივარი უნდა შეიტანოთ თავშესაფრის იმ რეგიონალურ სამსახურში ან დამოუკიდებელ განყოფილებაში, საიდანაც გაიცა ეს გადაწყვეტილება.

თუ მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან დროებითი დაცვის სტატუსი შეგიძლიათ მოიპოვოთ საბერძნეთის რესპუბლიკის ბინადრობის ნებართვა და სამგზავრო დოკუმენტები.

4. რა უნდა იცოდეთ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობის შესახებ

თქვენი განცხადების სრული რეგისტრაციის შემდგომ გადმოგეცემათ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა (ΔΑΔΠ), რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება იმ სამართლებრივი პროცედურის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც განიხილება თქვენი განცხადება და შეიძლება იყოს ოცდაათი (30) დღიდან ერთ წლამდე. საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა (ΔΑΔΠ) უფლებას გაძლევთ იმყოფებოდეთ საბერძნეთში, სანამ არ დასრულდება თქვენი განცხადების განხილვა. თუ თქვენს მოთხოვნაზე მიიღებთ უარყოფით პასუხს შეწყდება თქვენი მოწმობის მოქმედების ვადა.

მოწმობას შეიძლება ქონდეს ბარათის ფორმა, რომელიც გაიცემა ელექტრონული რეგისტრაციის მეშვეობით და ასევე განახლდება ელექტრონულად.
მოწმობა უნდა შეინარჩუნოთ კარგ მდგომარეობაში და ყოველთვის იქონიოთ თან, რადგან ეს არის დამადასტურებელი დოკუმენტი იმისა, რომ შეტანილი გაქვთ განაცხადი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით.

საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა არის დროებითი სტატუსი, რომელიც გულისხმობს კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს და **არ აქვს იგივე ძალა,** რაც ბინადრობის ნებართვას.
არ გაიცემა მოწმობა მათთვის ვინც დაკავებულია ან იმყოფება მიღებისა და იდენტიფიკაციის პროცესში ან განმეორებით ითხოვს საერთაშორისო დაცვას, მისი განცხადების დადებითად შეფასებამდე.

გარდა პირადი მონაცემებისა, მოწმობაში აღნიშნულია მოწმობის გაცემის თარიღი და მისი მოქმედების ვადა, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქის დროებითი ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის ნომერი (P.A.A.Y.P.A.).

ორიგინალი მოწმობა ყოველთვის უნდა იქონიოთ თან თავშესაფრის სამსახურთან ნებისმიერი კომუნიკაციის დროს, განსაკუთრებით გასაუბრების დღეს. ასლი არ მიიღება.

თუ მოწმობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე არ გადმოგეცათ გადაწყვეტილება, მოწმობა უნდა გადაავადოთ.

მოწმობის გადავადებისათვის საჭიროა წარადგინოთ ძველი მოწმობა.

გადავადება შესაძლებელია არაუგვიანეს მოქმედების ვადის ამოწურვის მომდევნო დღისა. **თუ არ გადაავადებთ თქვენს მოწმობას არაუგვიანეს მოქმედების ვადის ამოწურვის მომდევნო დღემდე, დაკარგავს მოქმედების ძალას და შეწყდება თქვენი განცხადების განხილვა.**
თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზით, რომელიც თავშესაფრის სამსახურის მუშაობასთან არის დაკავშირებული, არ არის შესაძლებელი თქვენი მოწმობის გადავადება, მაშინ თავშესაფრის სამსახური გამოაქვეყნებს შესაბამის განცხადებას თავის ელექტრონულ გვერდზე, იმისათვის რომ ინფორმაცია მიაწოდოს დაინტერესებულ პირებს. ასეთ შემთხვევაში მოწმობა განახლდება ავტომატურად.

მოწმობის დაკარგვის განაცხადი

დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში, შეგიძლიათ მოითხოვოთ თავშესაფრის სამსახურისაგან ახალი მოწმობის გაცემა.

თავშესაფრის სამსახური მოგცემთ ცნობას იმის თაობაზე, რომ ნამდვილად გაქვთ შეტანილი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, ასევე ცნობაში იქნება მითითებული თქვენი მოწმობის ნომერი.
ამ ცნობით მიმართავთ საბერძნეთის პოლიციას, სადაც განაცხადებთ მოწმობის დაკარგვის შესახებ.
როგორც კი მიიღებთ დაკარგვის განაცხადის დამოწმებულ ასლს, წარადგენთ თავშესაფრის სამსახურში და მოითხოვთ ახალ მოწმობას. ახალი მოწმობა არ გაიცემა ორ თვეზე ადრე.

5. საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა უფლება-მოვალეობები

ა) საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა უფლებები

საერთაშორისო დაცვის მაძიებელ პირებს გაქვთ შემდეგი უფლებები:

- უფასოდ მიიღოთ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა, რომელიც შესაძლებლობას გაძლევთ ლეგალურად გადაადგილდეთ ქვეყნის შიგნით.
- დარჩეთ საბერძნეთში სანამ არ დასრულდება თქვენი განცხადების განხილვა. იკრძალება თქვენი დეპორტი თქვენი განცხადების განხილვის დასრულებამდე.
- თავისუფლად გადაადგილდეთ ქვეყანაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საერთაშორისო დაცვის მოწმობაში აღნიშნულია ქვეყნის კონკრეტული გეოგრაფიული არეალი, რომლის ფარგლებშიც გაქვთ მოძრაობის უფლება, ესე იგი თქვენ შეზღუდული გაქვთ გადაადგილება გეოგრაფიული ნიშნით.
- თქვენთვის გასაგებ ენაზე მიიღოთ ინფორმაცია თქვენი საქმის მსვლელობის, სხვადასხვა ეტაპებთან დაკავშირებული ვადების, გასაჩივრების უფლების, ასევე გადაწყვეტილების თაობაზე.
- თქვენი განცხადების განხილვის სხვადასხვა ეტაპზე, განხილვის პირველ და მეორე საფეხურზე, ასევე თავშესაფრის სამსახურში გასაუბრების დროს ისარგებლოთ უფასოდ თარჯიმნის მომსახურეობით.
- გაქვთ უფლება ნებაყოფლობით დაბრუნდეთ წარმოშობის ქვეყანაში.
- დაუკავშირდეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატს ან სხვა ორგანიზაციას იურიდიული, სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური დახმარების მისაღებად.
- მიიღოთ ფინანსური დახმარება თუ თქვენ არ მუშაობთ და არ გაქვთ საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა ყოველდღიური ხარჯების დასაფარავად.
- მოითხოვოთ დაბინავება ლტოლვილთა ბანაკში ან სხვა საცხოვრებელში (კერძო სახლებში ან სასტუმროში განთავსების პროგრამა).
- მუშაობის უფლება, საბერძნეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის განცხადების რეგისტრაციიდან სამოცი (60) დღის შემდეგ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ საერთაშორისო დაცვის მაძიებლის მოწმობა.
- მიიღოთ გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (ΑΦΜ).

- გაქვთ იგივე სადაზღვევო უფლებები და მოვალეობები, რაც დასაქმებულ საბერძნეთის მოქალაქეს.
- უცხო ქვეყნის მოქალაქის ჯანმრთელობისა და სოციალური დაზღვევის დროებითი ნომრის (P.A.A.Y.P.A.) მეშვეობით შეგიძლიათ ისარგებლოთ სამედიცინო-ფარმაცევტული და საავადმყოფოს მომსახურეობით.
- არასრულწლოვან თავშესაფრის მაძიებლებს გაქვთ უფლება მიიღოთ უფასო საჯარო განათლება.
- სრულწლოვან თავშესაფრის მაძიებლებს გაქვთ უფლება მიიღოთ საშუალო განათლება.
- გაქვთ უფლება მიიღოთ პროფესიული კვალიფიკაცია.

ბ) საერთაშორისო დაცვის მაძიებელთა მოვალეობები

საერთაშორისო დაცვის მაძიებლებს გეკისრებათ შემდეგი ვალდებულებები:

- საბერძნეთში შემოსვლისთანავე წარადგინოთ განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით.
- ყოველთვის თან იქონიოთ თავშესაფრის მაძიებლის მოწმობა. საერთაშორისო დაცვის მაძიებლის სტატუსი დროებითია, რომელიც კონკრეტულ უფლებებსა და მოვალეობებს გულისხმობს და არ აქვს იგივე ძალა რაც აქვს ბინადრობის ნებართვას.
- დროულად იზრუნოთ თქვენი მოწმობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, არაუგვიანეს მოქმედების ვადის ამოწურვის მომდევნო სამუშაო დღისა.
- იმყოფებოდეთ საბერძნეთში სანამ არ დასრულდება თქვენი განცხადების განხილვა. არ გაქვთ საბერძნეთის საზღვრებს გარეთ მოგზაურობის უფლება. გამონაკლისს წარმოადგენს სერიოზული ჰუმანიტარული მიზეზებიდან გამომდინარე გარემოებები, რომლებიც მოითხოვს თქვენს სხვა ქვეყანაში ყოფნას. მაგალითად შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული ჯანმრთელობის სერიოზული მდგომარეობა. სამგზავრო დოკუმენტების მოსაპოვებლად შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოთ თავშესაფრის სამსახურს.
- ითანამშრომლოთ საბერძნეთის სახელმწიფო უწყებებთან ნებისმიერ საკითხზე, რომელიც უკავშირდება თქვენ განცხადებას ან თქვენი პირადი მონაცემების დაზუსტებას.
- გამოცხადდეთ თავშესაფრის სამსახურში წინასწარ დაგეგმილ გასაუბრებაზე.
- დაუყოვნებლივ გამოცხადდეთ პირადად შესაბამის უწყებაში, როდესაც ეს მოგეთხოვებათ.
- ჩააბაროთ თქვენი სამგზავრო დოკუმენტი, ასევე წარადგინოთ ყველა ის დოკუმენტი, რომელიც თქვენს მფლობელობაშია და თქვენი განცხადების განხილვასთან არის დაკავშირებული ან ადასტურებს თქვენს პირად მონაცემებს.
- საცხოვრებელი მისამართის ან საკონტაქტო, ასევე სხვა მონაცემთა ნებისმიერი ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ თავშესაფრის სამსახურს. შეგიძლიათ გააკეთოთ საკონტაქტო მონაცემთა შეცვლის ელექტრონული განაცხადი. თავშესაფრის სამსახური გამოგიგზავნით მითითებულ მისამართზე (email, საცხოვრებელი მისამართი) თქვენს საქმესთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

- გამოცხადდეთ თავშესაფრის სამსახურში, თქვენი განცხადების რეგისტრაციის შემდეგ საბერძნეთში დაბადებული შვილის დასარეგისტრირებლად და წარადგინოთ ბავშვის დაბადების მოწმობა.
- დაიცვათ თქვენი განცხადების განხილვის სხვადასხვა ეტაპზე კომპეტენტური უწყების მიერ შესაბამისად განსაზღვრული პროცედურული ვადები.
- არ დამალოთ თქვენი ნამდვილი ეკონომიური მდგომარეობა, იმ შემთხვევაში, თუ იღებთ სახელმწიფოსაგან დახმარებას.
- თუ ცხოვრობთ მიმღებ და საიდენტიფიკაციო ცენტრში, ან ლტოლვილთა თავშესაფარში ან სხვა ნებისმიერი ტიპის საცხოვრებელში დაიცვათ იქ არსებული წესები და არ დატოვოთ ეს სივრცეები შესაბამისი უწყებების გაფრთხილების გარეშე.
- ყოველ მეორე ან მომდევნო განმეორებით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინოთ სამასი (300) ევროს ოდენობის მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. მოსაკრებელი გაიცემა შემდეგნაირად ელექტრონული მოსაკრებელი (e-Παράβολο). ოჯახის შემთხვევაში საჭიროა სათითაოდ ყველა ოჯახის წევრისათვის თანაბარი ოდენობის მოსაკრებლის გადახდა.

კომპეტენტურ უწყებებთან ზემოაღნიშნული თანამშრომლობის ვალდებულებების დარღვევის შედეგად, მაგალითად თუ უწყებებთან გაწყვეტთ კონტაქტს, არ ითანამშრომლებთ განცხადების განხილვისათვის საჭირო მონაცემთა დადგენაში და ამით აფერხებთ განხილვის პროცედურის დასრულებას, თქვენი განცხადება უარყოფილი იქნება.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევა გამოიწვევს მატერიალური დახმარების შეწყვეტას ან შეზღუდვას (ფულადი დახმარება, დაბინავება და ა.შ.)

6. წარმოშობის ქვეყანაში ნებაყოფლობითი დაბრუნება

გაქვთ უფლება დაბრუნდეთ თქვენი წარმოშობის ქვეყანაში, მას შემდეგ, რაც მოითხოვთ თავშესაფრის მაძიებლის განაცხადის განხილვის შეწყვეტას, თუ ამის სურვილი გექნებათ.
თუ გამოთქვამთ ნებაყოფლობითი დაბრუნების სურვილს, დამატებითი ინფორმაციისათვის გადაგაგზავნიან მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში (Δ.Ο.Μ.), რომელიც იზრუნებს თქვენს რეპატრიაციაზე.

მეტი ინფორმაცია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (Δ.Ο.Μ.) ნებაყოფლობით დაბრუნების პროგრამის შესახებ შეგიძლიათ ნახოთ აქ.

დაბოლოს, გვინდა გაცნობოთ, რომ თავშესაფრის სამსახურის ტერიტორიაზე აკრძალულია იარაღით, ბასრი ან სხვა ისეთი ნივთით შესვლა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაზიანება, ასევე აკრძალულია შესვლა ფეთქებადი ან აალებადი, ქიმიური ან ტოქსიკური ნივთიერებებით.